საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1761-02
25/06/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის 2018 წლის 17 აპრილის ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N944-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის N4 და 2018 წლის 25 ივნისის N7 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 25 ივნისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **საჯარო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე** არჩეული იქნან **თამთა მიქელაძე** და **ვახტანგ მენაბდე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, სამართლის სკოლა.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი